107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. მარტის 31. № 8 ტფილისი

შინაარსი

განათლება.

44. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ.

წესდება დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლისა.

განათლება

44. დადგენილება ს. კ. ს.

დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს ამასთანავე დართული საბჭოთა დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის წესდება და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ დღიდან გამოქვეყნებისა მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ავტონომიური ოლქითურთ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 დეკემბრის 16.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ს დ ე ბ ა

დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლისა.

I. ზოგადი დებულებანი.

1. „პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, ე. ი. იმ პირობების მომზადების პერიოდში, რაც შესაძლებლად ხდის კომუნიზმის სრულ განხორციელებას, სკოლა უნდა იყოს არა მარტო კომუნიზმის პრინციპების გამტარებელი საზოგადოდ; არამედ პროლეტარიატის იდეური, ორგანიზაციული, აღმზრდელობითი გავლენის გამტარებელიც მშრომელთა მასების ნახევრად-პროლეტარულ და არაპროლეტარულ ფენებში, რათა აღზარდოს ისეთი თაობა, რომელიც შეესძლებს კომუნიზმის საბოლოოდ დამყარებას“. (საკ. კ.პ. (ბ) პროგრამა).

საბჭოთა სკოლა წარმართავს თავის მუშაობას ისე, რომ მისცეს მოსწავლეს საკმაო მოცულობის საერთო განათლების ცოდნა და მოამზადოს ტექნიკუმებისა და უმაღლესი სკოლისათვის სავსებით მცოდნე პირები, რომელთაც კარგად ეცოდინებათ მეცნიერებათა საფუძვლები და შეთვისებული ექნებათ სისტემატიზირებულ ცოდნათა ზუსტად შემოხაზული წრე“ (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ სკოლის შესახებ 1931 წ. სექტემბრის 5-ს მიღებული დადგენილებიდან).

სკოლა აცნობს მოსწავლეს, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, წარმოების ყველა მთავარ დარგს „ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სწავლების ნამდვილი შეერთება წარმოებით შრომასთან“ და შესწავლა „თეორიაში და პრაქტიკაში წარმოების მთავარი დარგებისა“ (საკ. კ. პ. (ბ) პროგრამა), რისთვისაც სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნას ლენინის მითითებანი, რომ პოლიტექნიკური პრინციპი „არ მოითხოვს ყველაფრის სწავლებას, არამედ მოითხოვს საერთოდ თანამედროვე ინდუსტრიის საფუძვლების სწავლებას“ (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ 1932 წ. აგვისტოს 25-ს მიღებული დადგენილებიდან).

„ამასთან ერთად და ამასთან დაკავშირებით, საშუალო სკოლის მოსწავლისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას ძირითადი ინსტრუმენტების დაუფლება და ჩვევების მიღება ხის, ლითონის და სხვა დამუშავების დარგში“ (საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. აგვისტოს 25-ის დადგენილებიდან).

2. საბჭოთა საერთო განათლების სკოლა არის ერთიანი, ე. ი. ისახავს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის ერთიან ამოცანებს და უზრუნველჰყოფს მოსწავლის უშუალოდ გადასვლას დაწყებითი სკოლიდან არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში.

3. საერთო განათლების სკოლა იყოფა სამ ტიპად:

ა) დაწყებითი სკოლა—4 კლასით (1-დან მე-4-მდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით), 8—12 წლის ასაკის ბავშვთათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) არასრული საშუალო სკოლა—7 კლასით (1-დან მე-7-მდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით) 8—15 წლის ასაკის ბავშვთათვის;

გ) საშუალო სკოლა—10 კლასით (1-დან მე-10-მდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით) 8—18 წლის ასაკის ბავშვთათვის.

სკოლასთან შეიძლება მოეწყოს მოსამზადებელი კლასი 7 წლის ასაკის ბავშვთათვის.

4. სკოლაში ორივე სქესის ბავშვები ერთად სწავლობენ.

5. საბჭოთა სკოლა სახელმწიფო სკოლაა.

6. სკოლაში სწავლება უფასოა.

7. სკოლის ყველა მოსწავლე სარგებლობს უფასო ამბულატორიული მკურნალობით და უფასო წამლით.

8. სკოლა, კომკავშირისა და პიონერების ორგანიზაციებთან ერთად, აწყობს სკოლაგარეშე მუშაობას ბავშვთა და მოზარდთა შორის.

9. საბჭოთა სკოლა აწარმოებს სისტემატურ მუშაობას მოსახლეობაში და, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა მშობლებს შორის მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის პროპაგანდისათვის და აქტიურ მონაწილეობას იღებს ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

10. მთელ თავის საწავლო და სააღმზრდელო მუშაობას სკოლა ასრულებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით და მტკიცე სასწავლო განრიგების საფუძველზე, რასაც თვითეული სკოლა შეადგენს არა ნაკლებ, ვიდრე წლის მეოთხედისათვის.

11. საბჭოთა სკოლა ეხმარება მოსწავლეებს კლასგარეშე მუშაობის მოწყობაში და ყოველნაირად ხელს უწყობს და დახმარებას უწევს კომკავშირს და ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციას—„ნორჩი პიონერები“ და „ოქტომბრელები“—ბავშთა შორის მუშაობის გაშლის საქმეში.

12. საბჭოთა სკოლაში მთელი პედაგოგიური მუშაობა სწარმოებს მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე.

13. აკრძალულია და სისხლის სამართლის წესით იდევნება საბჭოთა სკოლაში რაიმე სარწმუნოებრივი მოძღვრების სწავლება და აგრეთვე საკულტო წესების შესრულება და ყოველგვარი სხვა ფორმები მოზარდ თაობაზე რელიგიური ზეგავლენისა.

დაწყებითი და საშუალო სკოლა უზრუნველჰყოფს მოსწავლეთა ანტირელიგიურ აღზრდას და თავის სასწავლო და საგანმანათლებლო მუშაობას აშენებს რელიგიისა და მოსწავლეებსა და მოსახლეობაზე მისი გავლენის საწინააღმდეგო აქტიური ბრძოლის საფუძველზე.

14. მთელი თავისი მუშაობისა და ცხოვრების წყობით საბჭოთა სკოლა მიზნად ისახავს შეიმუშაოს და განამტკიცოს მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დირექტორი (გამგე) და მასწავლებელი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ მოსწავლეთა შორის დისციპლინის განსამტკიცებლად და გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებენ მოსწავლეთა ისეთი ქცევის წინააღმდეგ, რაც სკოლაში წესრიგს არღვევს, რისთვისაც საჭირო შემთხვევაში მიჰმართავენ დისციპლინარულ ღონისძიებას, მოსწავლეთა კლასიდან დათხოვნამდეც კი.

დისციპლინის განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლაში ჩაბმულ უნდა იქნან მოსწავლეთა მშობლები, კომკავშირის, პიონერების და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

III. მოსწავლენი.

15. დაწყებითი სკოლები იხსნება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს დადგენილებით, არასრული საშუალო და სანიმუშო სკოლები იხსნება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებული გეგმის საფუძველზე, ხოლო საშუალო სკოლები იხსნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

16. სკოლებში მიიღებიან შემდეგი ასაკის ბავშვები:

ა) მოსამზადებელ კლასში	7	წლის	ბავშვები
ბ) 1-ლ კლასში	8—9	„	„
გ) მე-2 „	9—10	„	„
დ) მე-3 „	10—11	„	„
ე) მე-4 „	11—12	„	„
ვ) მე-5 „	12—13	„	„
ზ) მე-6 „	13—14	„	„
თ) მე-7 „	14—15	„	„
ი) მე-8 „	15—16	„	„
კ) მე-9 „	16—17	„	„
ლ) მე-10 „	17—18	„	„

17. ბავშვებს სკოლაში მიიღებს სკოლის დირექტორი (გამგე).

სკოლაში შემსვლელს მოეთხოვება სიტყვიერი ან წერილობითი განცხადება მშობლების, მეურვის ან თვით მოსწავლისა, დაბადების დროის და წინასწარი სწავლების შესახები ცნობების აღნიშვნით.

18. მოსამზადებელ და პირველ კლასში მიღება მოხდება ყოველგვარი გამოცდის გარეშე. ყველა დანარჩენ კლასში ახლად შემსვლელნი გამოცდილ უნდა იქნან საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მითითებათა საფუძველზე.

19. იმ ადგილას, სადაც სავალდებულო შვიდწლიანი სწავლება ჯერ არაა შემოღებული, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის მეხუთე კლასში მოსწავლეთა მიღების დროს ამ სკოლის მოსწავლეს, რომელსაც მეოთხე კლასი აქვს დამთავრებული, არავითარი უპირატესობა არ ეძლევა. იგი მეხუთე კლასში შედის საერთო წესით, სხვა სკოლების მოსწავლეთა თანაბრად.

20. კლასიდან კლასში და სკოლიდან სკოლაში მოსწავლეთა გადაყვანას და აგრეთვე სკოლის დამთავრების შესახებ მოწმობების მიცემას აწარმოებს სკოლის დირექტორი (გამგე) სასწავლო წლის ბოლოს, მოსწავლეთა მუშაობის აღრიცხვის ცნობებისა და სასწავლო წლის ბოლოსვე ყველა სკოლაში სავალდებულო წესით ჩატარებული შემოწმებითი გამოცდების საბოლოო შედეგების მიხედვით.

21. იმ მოსწავლეებმა, რომელნიც სკოლის პროგრამას ვერ სძლევენ, უნდა გაიარონ სპეციალური მედიკურ-პედაგოგიური შემოწმება და, ექიმის დასკვნის თანახმად, მოთავსებულ უნდა იქნან განსაკუთრებულ დამხმარე კლასში, სკოლაში ან სამკურნალო-სასწავლო დაწესებულებაში.

III. სკოლის მმართველობა და ხელმძღვანელობა.

ა. სკოლის დირექტორი (გამგე).

22. დაწყებითი სკოლის სათავეში დგას სკოლის გამგე, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის სათავეში დგას სკოლის დირექტორი.

23. დაწყებითი სკოლის გამგეს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის განათლების ცენტრალური ორგანოები, სახალხო განათლების ადგილობრივი განყოფილებების წარდგენით, იმ პედაგოგთა რიცხვიდან, რომელთაც წარმატებით დაუმთავრებიათ პედაგოგიური ტექნიკუმი და აქვთ პედაგოგიური მუშაობის სამი წლის სტაჟი და სათანადო ატესტაცია სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოსაგან.

არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის განათლების ცენტრალური ორგანოები იმ პედაგოგთა რიცხვიდან, რომელთაც წარმატებით დაუმთავრებიათ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი და აქვთ პედაგოგიური მუშაობის სამი წლის სტაჟი.

24. სკოლის დირექტორი (გამგე) ხელმძღვანელობას უწევს სკოლის მთელ სასწავლო, აღმზრდელობითს და საადმინისტრაციო-სამეურნეო ცხოვრებას და ერთპიროვნულად პასუხისმგებელია სკოლის მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დირექტორის (გამგის) განკარგულებანი, რაც ეხება სკოლის, როგორც სასწავლო, ისე სამეურნეო ცხოვრებას, სავალდებულოა სკოლის ყველა მომუშავისათვის, მათ რიცხვში პიონერ-ხელმძღვანელისთვისაც.

25. სკოლის დირექტორი (გამგე) არის სკოლის წარმომადგენელი სახელმწიფოებრივი, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის წინაშე.

26. როდესაც დირექტორი (გამგე) სკოლაში არ იმყოფება, ყველა მის მოვალეობას ასრულებს მისი თანაშემწე სასწავლო დარგში, ან სპეციალური პირი, ვისაც ამას გამგე მიანდობს სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილებასთან შეთანხმებით.

27. სკოლის დირექტორი (გამგე):

ა) ამტკიცებს სკოლის წლიურ საწარმოო გეგმას და ყველა სამუშაო გეგმას და პროგრამას და აწესებს სათანადო კონტროლს მათი შესრულებისათვის;

ბ) პასუხს აგებს სასწავლო წლის სათანადოდ მომზადებისა და თავის დროზე დაწყებისათვის, გეგმის შესაბამისად სკოლის დაკომპლექტებისათვის მოსწავლეებით და აგრეთვე სკოლის მომუშავეთა შერჩევისა და მიზანშეწონილად გამოყენებისათვის;

გ) ამოწმებს პედაგოგების მუშაობას, რისთვისაც პირადად დაესწრება ხოლმე სასწავლო მეცადინეობას კლასებსა, სახელოსნოებსა, ლაბორატორიებსა, კაბინეტებსა და საწარმოებში და პერიოდულად გასინჯავს მოსწავლეთა ნამუშევარს;

დ) აწყობს სასკოლო საბჭოს მუშაობას და მონაწილეობას აღებინებს სკოლის მუშაობაში მუშათა და კოლმეურნეთა საზოგადოებრიობას;

ე) აწყობს მუშაობას მოსწავლეთა მშობლებთან და ანხორციელებს პედაგოგიურ პროპაგანდას მოსახლეობაში;

ვ) უზრუნველჰყოფს თვითეულ კლასში და საერთოდ მთელ სკოლაში საპროგრამო მასალის თაკის დროზე და სათანადო ხარისხით დამუშავებას და პასუხისმგებელია ამ მოთხოვნის შესრულებისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ სკოლის კურსდამთავრებულთ სავსებით და წარმატებით ჰქონდეთ შეთვისებული ცოდნის მთელი მოცულობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის პროგრამებით;

ზ) პასუხისმგებელია აღმზრდელობითი მუშაობისა და მოსწავლეთა ორგანიზაციების და პიონერორგანიზაციების მუშაობის წარმატებისათვის და აგრეთვე მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის შრომითი დისციპლინის მდგომარეობისათვის;

თ) ანხორციელებს ღონისძიებებს მოსწავლეთა სკოლისაგან ჩამოშორების წინააღმდეგ საბრძოლველად და უზრუნველჰყოფს გაჭირვებულ მოსწავლეთათვის სწავლის ხელსაყრელი პირობების შექმნას და მატერიალური დახმარების აღმოჩენას სკოლის მხრით;

ი) ანხორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ სკოლამ ნამდვილად მიიღოს მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში, სკოლის სასწავლო ცხოვრებაში მზრდელობითი მიზნებისათვის მოსწავლეთა საზოგადოებრივი შრომის დაქვემდებარების საფუძველზე, და პასუხისმგებელია სწავლების მაღალი ხარისხისათვის და სკოლაში კომუნისტური აღზრდის გატარებისათვის;

კ) უზრუნველჰყოფს პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას და აწყობს მასწავლებელთა პოლიტექნიკურ გადამზადებას;

ლ) ზრუნავს სკოლის მოსაწყობად სასწავლო და საკლასო ინვენტარით, დამხმარე ხელსაწყოებით და იარაღებით და პასუხისმგებელია სასკოლო შენობების სანიტარული მდგომარეობისა, რემონტის თავის დროზე გაკეთებისა და სკოლის სათანადოდ მომარაგებისათვის და აგრეთვე მთელი სასკოლო ქონების დაცვისა და შენახვისათვის;

მ) ადგენს წლიურ ხარჯთაღრიცხვას და საშემოსავლო-საგასავლო ანგარიშს, აწარმოებს სკოლის მუშაობის სტატისტიკურ აღრიცხვას და პასუხს აგებს ფულადი და მატერიალური დავთრებისა, საშემოსავლო-საგასავლო დოკუმენტებისა და მთელი საფინანსო-მატერიალური აღრიცხვის მდგომარეობისათვის;

ნ) პასუხისმგებელია საერთო საცხოვრებლის და სასადილოს სათანადო მდგომარეობისათვის და აწყობს მოსწავლეთა მომარაგებას ტანსაცმელით, ფეხსაცმელით და ცხელი საუზმით;

ო) უზრუნველჰყოფს პედაგოგიური პერსონალის მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

28. საშუალო სკოლის დირექტორს და დაწყებითი სკოლის გამგეს უფლება აქვს:

ა) მიიღოს სამუშაოზე და დაითხოვოს დადგენილი წესისამებრ ტექნიკური პერსონალი, რომელიც სკოლას მომსახურეობას უწევს;

ბ) იმოქმედოს სკოლის სახელით, როგორც მისმა წარმომადგენელმა;

გ) დაამტკიცოს სასკოლო საბჭოს დადგენილებანი და, უკეთუ იგი არ ეთანხმება ამ დადგენილებებს, შეაჩეროს მათი განხორციელება, ხოლო აცნობოს ეს სახალხო განათლების საარაონო (საქალაქო) განყოფილებას, რომლის დადგენილებაც ამ საკითხზე საბოლოოა;

დ) დაადგინოს არსებულ კანონდებულებათა საფუძველზე სკოლის შინაგანრიგების წესები და დაადოს სკოლის მომუშავეთ სათანადო გადასახდელი, უკეთუ ისინი შრომის დისციპლინას დაარღვევენ, ხოლო ის მოსწავლენი, რომელნიც გაუსწორებელი არიან, ხულიგნობენ, შეურაცხყოფენ მასწავლებელთა პერსონალს, არ ასრულებენ სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების განკარგულებას, არღვევენ სკოლის რეჟიმს და აფუჭებენ და იტაცებენ სკოლის ქონებას, გარიცხოს სკოლიდან, სკოლაში შესვლის უფლების აღკვეთით ერთი წლიდან სამ წლამდე;

ე) დაშალოს მოსწავლეთა კომისიები და წრეები, უკეთუ ისინი სკოლის სასწავლო-საალმზრდელო მიზნებს არ შეესაბამებიან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) ყველა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორს და დაწყებითი სკოლის გამგეს, უკეთუ ამ სკოლაში არის არა ნაკლებ 160 მოსწავლისა, გარდა იმ დაწყებითი სკოლებისა, რომლებიც სასოფლო ბიუჯეტზე იმყოფებიან, ეძლევა მესამე ხარისხის კრედიტის განმკარგულებელის უფლება.

29. სკოლის დირექტორი (გამგე) ხელმძღვანელობს სახალხო განათლების სათანადო განყოფილების მითითებებით და ინსტრუქციელებს ყველა მის განკარგულებას, რაც მის სკოლას ეხება, და აგრეთვე უდგენს განყოფილებას, მისი მოთხოვნისამებრ, ანგარიშს სკოლის მუშაობის შესახებ.

შენიშვნა. უკეთუ სკოლის დირექტორი (გამგე) არ ეთანხმება სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების მითითებას და განკარგულებას, მას შეუძლია, დადგენილების აღსრულების შეუჩერებლივ, სთხოვოს განათლების სათანადო ცენტრალური ორგანოს ამ მითითების თუ განკარგულების გაუქმება.

30. სკოლის დირექტორს (გამგეს) აქვს კავშირი დაწყებითი და საშუალო სკოლის მომუშავეთა კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციასთან, რეგულარულად უდგენს მას ანგარიშს და აწვდის ყველა საჭირო მასალას სკოლის საწარმოო მუშაობის შესასწავლად.

31. სკოლის დირექტორი (გამგე) აბამს მოსწავლეებს სკოლის სასწავლო-წარმოებითს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, რაზმავს მოსწავლეთ ბრძოლის საწარმოებლად სწავლების ხარისხისა, სკოლის პოლიტექნიზაციისა, შეგნებული დისციპლინისა, სკოლის ქონებისადმი ფრთხილად მოპყრობისა და სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისათვის; ამასთანავე, დირექტორმა უნდა აღკვეთოს მოსწავლეთა გადატვირთვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დავალებებით. ყველა მითითება პიონერთა შორის მუშაობის შესახებ სკოლაში ხორციელდება სკოლის დირექტორის (გამგის) თანხმობით.

ბ. სკოლის დირექტორის (გამგის) თანაშემწენი.

32. უკეთუ დაწყებითს სკოლაში არის შვიდ კლასზე მეტი (პარალელური), იქ დაწესდება სკოლის დირექტორის (გამგის) თანაშემწის თანამდებობა სასწავლო დარგში; არასრულ საშუალო სკოლაში დირექტორის თანაშემწე სასწავლო დარგში ინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლაში შვიდზე მეტი კლასია (დაწყებითი სკოლის კლასებთან ერთად); საშუალო სკოლაში კი დირექტორის თანაშემწე სასწავლო დარგში ინიშნება, კლასების რა რაოდენობაც უნდა იყოს.

სკოლის დირექტორის (გამგის) თანაშემწეს სასწავლო დარგში ნიშნავს სახალხო განათლების სათანადო განყოფილება.

33. სკოლის დირექტორის (გამგის) თანაშემწე სასწავლო დარგში უნდა იყოს პედაგოგი და დაწყებითი სკოლისათვის მას უნდა ჰქონდეს განათლება არა უმდაბლეს პედაგოგიური ტექნიკუმისა და პედაგოგიური სტაჟი არა ნაკლებ ორი წლისა, ხოლო საშუალო სკოლისათვის უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა.

34. სკოლის დირექტორის (გამგის) თანაშემწე სასწავლო დარგში პასუხის-მგებელია სკოლის დირექტორის (გამგის) წინაშე—სასწავლო, საპროგრამო-სამეთოდო და საალმზრდელო მუშაობის მდგომარეობისათვის და აგრეთვე სკოლის პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო მუშაობისათვის.

35. სკოლის დირექტორის (გამგის) თანაშემწე სასწავლო დარგში:

ა) ადგენს სასწავლო მუშაობის გეგმას და აწყობს საპროგრამო-სამეთოდო მუშაობას;

ბ) აწყობს და წარმართავს მასწავლებელთა მუშაობას ცალკეული დისციპლინების სამუშაო გეგმების შესადგენად;

გ) ადგენს მეცადინეობის მტკიცე ცხრილს და კლასებისა, კაბინეტებისა, ლაბორატორიებისა, სახელოსნოებისა და სხვ. შინაგანრიგების წესებს;

დ) აწყობს მოსწავლეთა წარმოებითს სწავლებას საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სასწავლო მიწის ნაკვეთზე და სხვ.;

ე) აწყობს მასწავლებელთა პოლიტექნიკურ გადამზადებას;

ვ) აწარმოებს სკოლის მუშაობის როგორც რიცხობრივ, ისე ხარისხობრივ აღრიცხვას ცალკეულ კლასებში და მთელ სკოლაში;

ზ) აწყობს მოსწავლეთა სკოლაგარეშე მუშაობას, ანხორციელებს კავშირს კომკავშირისა, პიონერებისა და მოსწავლეების ორგანიზაციებთან;

თ) უზრუნველჰყოფს კლასებს, კაბინეტებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკებს, სახელოსნოებს და სამუშაო ოთახებს სათანადო გაწყობილობით;

ი) აწარმოებს მოსწავლეთა განაწილებას კლასებში, მათ გადაყვანას შემდეგ კლასებში და უდგენს თავის წინადადებეს სასკოლო საბჭოს და სკოლის დირექტორს (გამგეს);

კ) ინსტრუქტაჟს უწევს პედაგოგებს და პიონერ-ხელმძღვანელებს გაკვეთილის ორგანზაციისა, მუშაობაში ცალკეული მეთოდების გამოყენებისა, აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებისა და სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა დანარჩენი საკითხების სფეროში.

36. ყველაზე დიდ სკოლებში, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო საბჭოების დადგენილებით—დაწყებითი სკოლისათვის და ამავე ორგანოების დადგენილებით, ხოლო განათლების სათანადო ცენტრალური ორგანოების თანხმობით—საშუალო სკოლისათვის, ინიშნებიან სკოლის დირექტორის (გამგის) თანაშემწენი სამეურნეო დარგში.

დირექტორის (გამგის) თანაშემწე სამეურნეო დარგში:

ა) პასუხს აგებს სკოლის დირექტორის (გამგის) წინაშე სასკოლო მეურნეობის, სასკოლო შენობების, სკოლის ეზოს, სასკოლო ავეჯისა და ინვენტარის საუკეთესო მდგომარეობისათვის, სასკოლო სადგომების სანიტარული მდგომარეობისა, მთელი სასკოლო ქონების შენახვისა და დაცვისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) აწყობს, დირექტორის (გამგის) მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, სასკოლო სახელოსნოების მომარაგებას და მათ უზრუნველყოფას გაწყობილობით, იძენს სახელმძღვანელოებს, სასწავლო ნივთებს, სასკოლო ავეჯს და სხვ.;

გ) აწყობს, დამხმარე კომიტეტის (მუხ. 49) უახლოესი მონაწილეობით, ბავშვთა მომარაგებას ფეხსაცმელით, ტანსაცმელით და ცხელი საუზმით;

დ) ანხორციელებს სასკოლო ქონების ინვენტარიზაციას, თვალყურს ადევნებს მის დაცვას და აწარმოებს საჭირო რემონტს;

ვ) განაგებს ტექნიკურ მომუშავეთა განაწილების საქმეს, ანაწილებს მათ შორის სამუშაოს, ამაგრებს თვითეულ მათგანზე მუშაობის განსაზღვრულ ნაკვეთს და აწესებს განრიგებას ტექნიკური პერსონალისათვის.

გ. მასწავლებელნი და კლასის ხელმძღვანელნი.

37. კლასებში ყოველდღიური სისტემატური მუშაობის განსახორციელებლად დირექტორის (გამგის) თანაშემწე სასწავლო დარგში ნიშნავს კლასების ხელმძღვანელებს მე-5,6,7,8,9 და 10 კლასებში, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დაწყებითი სკოლის მე-3 და მე-4 კლასებში საგნობრივი სწავლებაა, ნიშნავს ამ კლასების (მე-3 და მე-4) ხელმძღვანელებსაც. კლასის ხელმძღვანელები ინიშნებიან ამ კლასების პედაგოგების შემადგენლობიდან.

38. კლასის ხელმძღვანელი და მასწავლებელი ვალდებულია:

ა) იცნობდეს თავისი კლასის თვითეულ მოსწავლეს—სწავლაში წარმატებისა, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა, საზოგადოებრივი აქტივობისა და სხვა მხრით;

ბ) გააცნოს თავისი კლასის მოსწავლეებს სკოლის შინაგანრიგების წესები და უზრუნველყოს ამ წესების შესრულება;

გ) მოიწვიოს ხოლმე კლასის კრებები სასწავლო-აღმზრდელობითი, შრომის დისციპლინის, სოცშეჯიბრისა და სხვა საკითხების განსახილველად;

დ) მონაწილეობა მიაღებინოს მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციების ორგანოებს და ბავშთა და მოზარდთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (პიონერრაზმი, ალკკ უჯრედი) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა შორის კომუნისტური ყოფა-ქცევის ჩვევების ჩანერგვის საქმეში;

ე) ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მიერ კულტურულ-ჰიგიენურ ჩვევათა შეთვისებას, დააკავშიროს ეს მუშაობა სკოლის ექიმთან და მონაწილეობა მიაღებინოს მასში პედაგოგებს და მოსწავლეთა მშობლებს;

ვ) დაეხმაროს მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციების ორგანოებს, (პიონერ-რაზმებს და ალკკ უჯრედს)—კლასებსა და ცალკეულ მოსწავლეებს შორის სოცშეჯიბრის და დამკვრელობის მოწყობისა და გაშლის საქმეში;

ზ) იბრძოლოს, პედაგოგიურ და მატერიალურ ღონისძიებათა გატარებით, მოსწავლეთა სკოლისაგან ჩამოშორებისა და ორწლიანობის წინააღმდეგ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) იცოდეს თავისი კლასის მოსწავლის ყოფა-ქცევა სკოლის გარეთ და საჭირო შემთხვევაში იხმაროს სათანადო ღონისძიებანი მოსწავლის ყოფა-ქცევის გასაუმჯობესებლად იმ დონემდე, რომ იგი შეეფერებოდეს საბჭოთა სკოლის მოსწავლის ღირსებასა და სახელს.

ამის გარდა, კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) მოიწვიოს თავისი კლასის მოსწავლეთა მშობლების კრება ერთხელ მაინც სასწავლო წლის მეოთხედში;

ბ) მოიწვიოს, სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ დაწესებული გეგმის მიხედვით, თავისი კლასის მასწავლებელთა თათბირი—კლასში მუშაობის საერთო გეგმის შესამუშავებლად და სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი და განმტკიცდეს კლასში შეგნებული დისციპლინა;

გ) პერიოდულად მოახსენოს ხოლმე სკოლის დირექტორს (გამგეს) კლასის მუშაობის მდგომარეობა.

39. სკოლის მასწავლებლებს ნიშნავს და ითხოვს, სკოლის დირექტორის (გამგის) წარდგენით, სახალხო განათლების იმ განყოფილების გამგე, რომლის გამგებლობაშიაც სკოლა იმყოფება. მასწავლებელნი სავსებით პასუხისმგებელი არიან სკოლის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის, მოსწავლეთა განათლებისა და კომუნისტური აღზრდის ხარისხისათვის და თვითეული მოსწავლის ცოდნისა და წარმატებისათვის იმ დისციპლინებში, რომლებსაც ისინი ასწავლიან.

40. თვითეული მასწავლებელი ვალდებულია:

ა) განუწყვეტლივ აამაღლოს თავისი პედაგოგიური კვალიფიკაცია;

ბ) სისტემატურად ადევნოს თვალყური თვითეული მოსწავლის მუშაობას, თავის დროზე შენიშნოს ჩამორჩენილობა ან დღეების გაცდენა, გამოარკვიოს ამის მიზეზები და იხმაროს სასწრაფო ღონისძიებანი ამ მიზეზების თავიდან ასაცილებლად.

გ) ყოველნაირად განამტკიცოს კლასში შეგნებული დისციპლინა;

დ) იქონიოს სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის კონკრეტული, ზედმიწევნით შემუშავებული სამუშაო გეგმები;

ე) თავის დროზე აცნობოს სკოლის დირექტორს (გამგეს) სასწავლო მუშაობის დეფექტები და შეიტანოს კონკრეტული წინადადებანი, რაც უზრუნველჰყოფს ამ დეფექტების თავიდან აცილებას;

ვ) აწარმოოს საგეგმო წესით პედაგოგიური პროპაგანდა მოსწავლეთა მშობლებს შორის და მოსახლეობაში;

ზ) იზრუნოს კლასების, კაბინეტების და სამუშაო ოთახების მოწყობისათვის იმ დისციპლინის დარგში, რომელსაც ის ასწავლის, და აგრეთვე იზრუნოს იმ სასწავლო ხელსაწყოებისა და გაწყობილობის დაცვა-შენახვისათვის, რაც ამ კლასებსა, კაბინეტებსა და ოთახებშია;

თ) მიიღოს აქტიური მონაწილეობა მოსწავლეთა სკოლაგარეშე ცხოვრების ორგანიზაციაში;

ი) ხელმძღვანელობა გაუწიოს თავის სპეციალობაში მოსწავლეთა საგნობრივ წრეებს.

დ. სკოლაგარეშე პედაგოგები.

41. იმ სკოლაში, სადაც 300-ზე მეტი მოსწავლეა, ბავშვებთან სკოლაგარეშე მუშაობის ორგანიზაციისათვის დაწესდება სკოლაგარეშე მუშაობის მწარმოებელი პედაგოგის თანამდებობა, რომლის მოვალეობას შეადგენს: მოსწავლეთა წრეებისა და თვითმოქმედების საღამოების ორგანიზაცია, აგრეთვე მოსწავლეთა დასვენების ორგანიზაცია, კერძოდ, გაკვეთილებს შუა, მოსწავლეთა თეატრებში, კინოებში და სხვ. წასვლის მოწყობა, სკოლაგარეშე ექსკურსიების ჩატარება, სკოლებთან საბავშვო მოედნების მოწყობა და მომსახურეობა და მოსწავლეთა მშობლებს შორის პედაგოგიური პროპაგანდის წარმოება.

ე. მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციები.

42. მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციები არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში სავალდებულოა. დაწყებითს სკოლაში მოსწავლეთა ორგანიზაციების მუდმივი ორგანოები არ ეწყობა. დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს რაზმავს პედაგოგი ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად და ეპიზოდურ ღონისძიებათა განსახორციელებლად სკოლაგარეშე მუშაობის ხაზით.

არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციები მუშაობენ განსაკუთრებული დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად.

ვ. მშრომელთა მონაწილეობა სკოლის მუშაობაში.

43. სკოლის მთელ მუშაობაში მშრომელთა უაღრესად ფართო და აქტიური ჩაბმა, რაც საბჭოთა საერთო განათლების სკოლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს, ხორციელდება: სასკოლო საბჭოების, მოსწავლეთა შშობლების რეგულარული კრებების, სკოლის დამხმარე კომიტეტების და სკოლის დამხმარე მოხალისე მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა ბრიგადების სახით.

მოსახლეობასთან კავშირის განმტკიცების მიზნით, დაწესებულია სკოლის მუდმივი ანგარიშგება მშრომელთა მასების წინაშე.

44. სასკოლო საბჭო, რომელიც სათათბირო ორგანოა, ანხორციელებს პროლეტარულ კონტროლს სკოლის მუშაობის მიმართ. მის შედგენილობაში შედიან:

ა) ადგილობრივი საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის, განათლების მომუშავეთა კავშირის, ადგილობრივი პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციების, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტის, კოლექტიური მეურნეობის გამგეობისა და ნორჩ პიონერთა რაზმის თითო წარმომადგენელი;

ბ) ერთიდან სამამდე დელეგატი, არჩეული იმ საწარმოთა მუშებისა და იმ კოლექტიურ მეურნეობათა კოლმეურნეების სპეციალურ კრებებზე, რომლებზედაც მიმაგრებულია სკოლა;

გ) მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

სასკოლო საბჭოს თავმჯდომარე არის სკოლის დირექტორი (გამგე).

45. სასკოლო საბჭო:

ა) იხილავს სკოლის ცხოვრების ყველა ძირითად საკითხს და იმ ღონისძიებათა პროექტებს, რაც მიმართულია სკოლის მუშაობის ხარისხის ამაღლებისა, სკოლის პოლიტექნიკურ საფუძველზე გარდაქმნისა და მოსწავლეების საერთო საგანმანათლებლო ცოდნათა ამაღლებისათვის;

ბ) სახავს ღონისძიებებს იმისათვის, რომ სკოლა ჩაებას მთელი ქვეყნის, რაიონის, საწარმოს და კოლექტიური მეურნეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და რაიონის კულტურულ მშენებლობაში;

გ) იხილავს ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების მითითებებს და განკარგულებებს სახალხო განათლების საკითხების შესახებ და სახავს ღონისძიებებს ამ მითითებათა და განკარგულებათა განსახორციელებლად სკოლაში;

დ) აბამს მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასებს სკოლის დახმარების საქმეში;

ე) იხილავს სკოლის სამეურნეო და სასანიტარო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, აბამს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მშრომელთა მასებს სკოლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში და ხმარობს ღონისძიებებს ცალკეულ მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად;

ვ) ამოწმებს სკოლასა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულებას, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმოებითი შრომის ორგანიზაციას, როგორც სახელოსნოში და სამუშაო ოთახში, ისე საწარმოებში და სკოლასთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე;

ზ) იხილავს პროგრამებს, საწარმოო გეგმებს და სკოლის მუშაობის მეთოდებს;

თ) ისმენს სკოლის დირექტორის (გამგის), მისი თანაშემწის, კლასის ხელმძღვანელების დ მასწავლებლების საანგარიშო მოხსენებებს მათთვის დაკისრებული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

46. სასკოლო საბჭოს თვითეულ წევრს უფლება აქვს თავისი ინიციატივით აღძრას საბჭოში განსახილველად ყოველი საკითხი, რაც კი სასკოლო საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

47. სასკოლო საბჭო მოიწვევა წელიწადში ოთხჯერ (სასწავლო წლის დაწყების წინ, ზამთრისა და გაზაფხულის არდადეგების დროს და სასწავლო წლის დამთავრებისას).

48. ამა თუ იმ სკოლის მოსწავლეთა მშობლების კრებას (საერთო სასკოლოს და კლასების მიხედვით) იწვევს სკოლის დირექტორი (გამგე) ორჯერ მაინც სასწავლო წლის განმავლობაში.

კრებაზე მიწვეულ უნდა იქნან მხოლოდ ის მშობლები, რომელთაც აქვთ საარჩევნო ხმის უფლება.

49. სასკოლო საბჭოსთან შეიძლება მოეწყოს დამხმარე კომიტეტი, რომლის მიზანსაც შეადგენს ხელი შეუწყოს სკოლის დირექტორს (გამგეს) მთელ მის მუშაობაში, განსაკუთრებით კი სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის უზრუნველყოფისა და ცალკეულ გაჭირვებულ მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების გაწევის საქმეში.

დამხმარე კომიტეტში შედიან მოსწავლეთა მშობლების წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ საარჩევნო ხმის უფლება.

დამხმარე კომიტეტი ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

კომიტეტის მიერ გამონახულ სახსარს ხარჯავს სკოლის დირექტორი (გამგე) მშობელთა კრების მიერ დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად.

დამხმარე კომიტეტები მუშაობენ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

დამხმარე კომიტეტი რეგულარულად უდგენს თავისი მუშაობის ანგარიშს მშობელთა კრებას.

IV. სკოლის ანგარიშგება სახელმწიფო ორგანოებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის წინაშე.

50. სკოლის დირექტორი (გამგე) ვალდებულია წარუდგინოს, კუთვნილებისამებრ, სახალხო განათლების სათანადო ორგანოებს და საფინანსო ორგანოებს, აგრეთვე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს შემდეგი საანგარიშო ცნობები:

ა) ცნობები მოსწავლეთა მიღების შესახებ—სექტემბრის 10-ისათვის;

ბ) წლიური ანგარიში სკოლის სასწავლო და სამეურნეო მუშაობის შესახებ—სასწავლო წლის დამთავრებისას—ივლისის 10-ისათვის;

გ) ცნობები მოსწავლეთა აკადემიური წარმატების აღრიცხვის შესახებ—სასწავლო წლის მეოთხედების მიხედვით.

57. ყველა საბჭოთა ორგანო, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია საჭირო ცნობების მისაღებად მიჰმართავს სახალხო განათლების ორგანოს, და მათ უფლება არა აქვთ დამოუკიდებლად მოსთხოვონ სკოლას დამატებითი ცნობებისა და ანგარიშების წარდგენა.

სკოლის სტატისტიკური ცნობებისა და ანგარიშების ფორმებს აწესებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან შეთანხმებით.

52. სასწავლო წლის დამთავრებისას მოიწვევა მოსწავლეთა მშობლების საერთო კრება სკოლის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ მოხსენების მოსასმენად. მოხსენების დროს, შეძლებისდაგვარად, უნდა მოეწყოს მოსწავლეთა მუშაობის გამოფენა და ჩვენება, თანაც მოწყობილ უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების გეგმაშეწონილი მისვლა სკოლაში.

V. სკოლის დაფინანსების წესი და ქონების გამგებლობა.

53. სკოლის მთელი ქონება (შენობა და დამხმარე შენობები, გაწყობილობა, ინვენტარი, სასწავლო ხელსაწყოები, ბიბლიოთეკა, სახელოსნოები, სამუშაო ოთახები და სხვა ქონება, რაც სკოლის სარგებლობაშია) შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

54. ყოველ დაწყებითს და საშუალო სკოლას ქალაქად და სოფლად უნდა ჰქონდეს მტკიცე ხარჯთაღრიცხვა არა უგვიანეს ერთი დეკადის ვადისა იმ ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების დღიდან, რომელზედაც სკოლა იმყოფება.

55. ყველა სკოლას აქვს სახელმწიფო ბეჭედი, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული სახისა.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 15. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 11/III; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/III; ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. ს.—№ 8729. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 458